№ 73.941

Date 03.08.2021

RMG
COPPER

შპს „RMG Gold"-ს

თქვენი 2021 წლის 02 აგვისტოს №46.647 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ სს „RMG Copper"-ზე გაცემული სასარგებლო წიაღისეულის (ფერადი, კეთილშობილი, იშვიათი მეტალები და ბარიტი) შესწავლა - მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ (სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2014 წლის 25 ნოემბრის N168/ს და სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს უფროსის 2012 წლის 21 მაისის N13/28) ბრძანებებისა და წიაღის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად სს „RMG Copper" ვალდებულია, მის სალიცენზიო ტერიტორიაზე არსებული ტექნოგენურ წარმონაქმნებზე, იქ არსებული სამუშაოების დასრულების შემდგომ, განახორციელოს შესწავლა და მარაგების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დამტკიცება. ამ მიზნით ჩვენ მიერ აღებულ იქნა სახელმწიფო ტყის ფონდის სარგებლობის უფლება (სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებრებულ ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის ბოლნისი - დმანისის სატყეო უბანში 54330 კვ.მ მიწის ფართობზე სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე მიწის სამუშაოების განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის 2020 წლის 02 ივნისის №746/ს ბრძანება; სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებრებულ ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის ბოლნისი - დმანისის სატყეო უბანში სახელმწიფო ტყის ფონდის 310708 კვ.მ მიწის ფართობზე მიწის სამუშაოების განხორციელების უფლების ვადის განსაზღვრის შესახებ სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის 2020 წლის 29 ივლისის №1291/ს ბრძანება; სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეში, ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის ბოლნისი-დმანისის სატყეო უბანში, 5491 კვ.მ. მიწის ფართობზე განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების მინიჭების შესახებ სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის ბრძანება 2021 წლის 09 ივლისის #1102/ს ბრძანება).

თქვენ მიერ დასმულ შეკითხვაზე მოგახსენებთ, რომ არ ვართ წინააღმდეგი შპს „RMG Gold"- მა გამოყენოს აღნიშნული ტერიტორია, თუმცა გაცნობებთ, რომ საქმიანობა უნდა განახორციელოთ სს „RMG Copper"-ზე გაცემული სახელმწიფო ტყის ფონდით სარგებლობის უფლების ფარგლებში.

პატივისცემით,

თორნიკე ლიპარტია
აღმასრულებელი დირექტორი
სს „RMG Copper"

JSC RMG Copper, GEORGIA
RMG COPPER
225358341

RMG Gold LLC
თბილისი
№ 46.719
"03" 08 2021
ფურცელი 1

სს RMG Copper, თბილისი 0193 მ.ალექსიძის #1, მე-3 შესახვევი ტელ: +995 32 247 45 45; ფაქსი: +995 32 291 38 61;
JSC RMG Copper, #1 M. Aleksidze str., 3 Lane, 0193 Tbilisi, Georgia Tel: (+995 32) 247 45 45; Fax: (+995 32) 291 38 61;

№ 46.647

Date 02.08.2021

RMG GOLD

სს „RMG Copper" - ს

2021 წლის 5 თებერვალს (წერილის N42681) შპს „RMG Gold"-მა მიმართა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მოითხოვა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა. აღსანიშნავია, რომ საქმიანობის განხორციელების ადგილზე (საპროექტო ტერიტორიაზე) სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ სს „RMG Copper"-ზე გაცემულია სახელმწიფო ტყის ფონდით სარგებლობის უფლება (სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებრებულ ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის ბოლნისი - დმანისის სატყეო უბანში 54330 კვ.მ მიწის ფართობზე სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე მიწის სამუშაოების განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის 2020 წლის 02 ივნისის №746/ს ბრძანება; სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებრებულ ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის ბოლნისი - დმანისის სატყეო უბანში სახელმწიფო ტყის ფონდის 310708 კვ.მ მიწის ფართობზე მიწის სამუშაოების განხორციელების უფლების ვადის განსაზღვრის შესახებ სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის 2020 წლის 29 ივლისის №1291/ს ბრძანება; სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეში, ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის ბოლნისი-დმანისის სატყეო უბანში, 5491 კვ.მ. მიწის ფართობზე განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების მინიჭების შესახებ სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის ბრძანება 2021 წლის 09 ივლისის #1102/ს ბრძანება).

გთხოვთ გვაცნობოთ, შესაძლებელია თუ არა საქმიანობა განვახორციელოთ ზემოაღნიშნული ბრძანებებით სს „RMG Copper"-ზე გაცემული სახელმწიფო ტყის ფონდით სარგებლობის უფლების ფარგლებში.

პატივისცემით,

თორნიკე ლიპარტია

აღმასრულებელი დირექტორი

შპს RMG Gold

RMG Gold LLC, GEORGIA RMG GOLD 225359947

ს.ს. RMG Copper
თბილისი
№ 73.940
"03" 08 2021
ფურც. 1

შპს RMG Gold, თბილისი 0193 მ.ალექსიძის #1, მე-3 შესახვევი ტელ: +995 32 247 45 45; ფაქსი: +995 32 291 38 61;
LLC RMG Gold, #1 M. Aleksidze str., 3 Lane, 0193 Tbilisi, Georgia Tel: (+995 32) 247 45 45; Fax: (+995 32) 291 38 61;

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1291/ს

29/07/2020

1291-11-4-202007291758

სს "RMG Copper"-ისთვის სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის ბოლნისი-დმანისის სატყეო უბანში სახელმწიფო ტყის ფონდის 310708 კვ.მ მიწის ფართობზე მიწის სამუშაოების განხორციელების უფლების ვადის განსაზღვრის შესახებ

„საქართველოს ტყის კოდექსის" 52-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესი" -ს 27[1] მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 27[2] მუხლის მე-2 პუნქტის, 27[3] მუხლის 3[1] პუნქტის, 27[7] მუხლის, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 ივლისის N1210 განკარგულების და ტყითსარგებლობის დეპარტამენტის 22/07/2020წ. N11470 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის, ბოლნისი-დმანისის სატყეო უბნის ტერიტორიაზე (იხ. ცხრილი N1), 310708კვ.მ მიწის ფართობზე (ს/კ NN80.13.67.103; 80.13.67.104; 80.13.67.106; 80.14.65.335; 80.14.65.336; 80.14.65.337; 80.14.65.339), სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების N1005456 და N1005314 ლიცენზიებით განსაზღვრულ ტერიტორიაზე, სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების მიზნით, ხე-ტყის ჭრის უფლების გარეშე, სს "RMG Copper"-ს (ს/კ:225 358 341 შემდგომში - ტყითმოსარგებლე), მიწის სამუშაოების განხორციელების ვადა განესაზღვროს 20 (ოცი) წლით.
2.ტყითმოსარგებლე ვალდებულია ფართობზე სამუშაოების დაწყებამდე ქვემო ქართლის სატყეო სამსახურთან გააფორმოს, ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიის მიღება-ჩაბარების აქტი.

3.საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესი"-ს 27[6] მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, ტყითმოსარგებლემ სამუშაოების დაწყებამდე, სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობის უფლება დაარეგისტრიროს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და სამუშაოების დასრულებისთანავე აღნიშნული ტერიტორია მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გადასცეს სააგენტოს.

4.ტყითმოსარგებლემ სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობისთვის საკომპენსაციო საფასურის გადახდა განახორციელოს ზემოაღნიშნული N242 დადგენილების 27[7] მუხლით დადგენილი წესისა და პირობების შესაბამისად.

5.სპეციალური დანიშნულებით სარგებლობაში გადაცემულ ტერიტორიაზე სამუშაოების წარმოებისას კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენის შემთხვევაში, სამუშაოთა მწარმოებელი პირი ვალდებულია, იმოქმედოს „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.

6.ეს ბრძანება ამოქმედდეს დაინტერესებული პირისთვის ბრძანების გაცნობისთანავე.

7.ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ.თბილისი, მარშალ გელოვანის N6), ამ ბრძანების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

არჩილ ნიკოლეიშვილი

სააგენტოს უფროსი

N	ფართობი (კვ.მ.) shp	ლიცენზიის ნომერი	რეგისტრირებული საკადასტრო კოდები	სატყეო უბანი	სატყეო	კვარტალი	ლიტერი	შენიშვნა
1	115080	1005456	80.13.67.104	ბოლნისი-დმანისი	კაზრეთი	30	34	
						40	5;11;12;13;14;18;21	
						41	2;3	
2	27385	1005456	80.14.65.339			39	2,3,4,5,7,9	
3	18425	1005314 :1005456	80.13.67.103			46	4,7,8,9	
4	9539	1005456	80.14.65.335			46	9,10,11	
5	1969	1005456	80.14.65.337			46	8	
6	533	1005456	80.14.65.336			39	8	
7	137777	1005314 :1005456	80.13.67.106			39	12;13;14;15;16;17;18;19;21	
						46	9;10;11	
სულ	310708							

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 746/ს

746-11-4-202006021156

02/06/2020

სს „RMG Copper "-ისთვის სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის ბოლნისი-დმანისის სატყეო უბანში 54330 კვ.მ მიწის ფართობზე სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე მიწის სამუშაოების განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ

„საქართველოს ტყის კოდექსის" 52-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებული ,,ტყითსარგებლობის წესი" -ს 27^2 მუხლის მე-2 პუნქტის, 27^3 მუხლის 3^1 პუნქტის, 27^7 მუხლის, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 21 მაისის N843 განკარგულების და ტყითსარგებლობის დეპარტამენტის 29/05/2020წ. N7042 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის, ბოლნისი-დმანისის სატყეო უბნის, კაზრეთის სატყეოს N46 კვარტლის NN3;7;8 ლიტერებში, 54330 კვ.მ მიწის ფართობზე (ს/კ N80.14.65.276), სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების N1005456 ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე, სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების სამუშაოების განხორციელების მიზნით, ხე-ტყის ჭრის უფლების გარეშე, სს ,,RMG Copper"-ს (ს/კ: 225358341) მიენიჭოს, მიწის სამუშაოების განხორციელების უფლება 20 წლის ვადით.

2.ტყითმოსარგებლე ვალდებულია ფართობზე სამუშაოების დაწყებამდე ქვემო ქართლის სატყეო სამსახურთან გააფორმოს, ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიის მიღება-ჩაბარების აქტი.

3.ტყითმოსარგებლემ სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობისთვის საკომპენსაციო საფასურის გადახდა განახორციელოს ზემოაღნიშნული N242 დადგენილების 27[7] მუხლით დადგენილი წესისა და პირობების შესაბამისად.

4.სპეციალური დანიშნულებით სარგებლობაში გადაცემულ ტერიტორიაზე სამუშაოების წარმოებისას კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენის შემთხვევაში, სამუშაოთა მწარმოებელი პირი ვალდებულია, იმოქმედოს „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.

5.ეს ბრძანება ამოქმედდეს დაინტერესებული პირისთვის ბრძანების გაცნობისთანავე.

6.ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ.თბილისი, მარშალ გელოვანის N6), ამ ბრძანების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

არჩილ ნიკოლეიშვილი

სააგენტოს უფროსი

02.06.2020

იჯარის ხელშეკრულება № 39

ბოლნისის რ-ნი, დაბა კაზრეთი

2010 წლის „1" მარტი

ერთის მხრივ სს „მადნეული" (შემდგომში „მეიჯარე"), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის **ბ-ნ გიორგი დევაძის** სახით, რომელიც მოქმედებს საზოგადოების წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე და

მეორეს მხრივ შ.პ.ს. **„კვარციტი"** (შემდგომში „მოიჯარე"), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის **ბ-ნ დიმიტრი კალანდაძის** სახით, რომელიც მოქმედებს საზოგადოების წესდების და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე,

ვადიარებთ და ვადასტურებთ რა, რომ სრული და კანონიერი უფლებამოსილება გაგვაჩნია ამ ხელშეკრულების გასაფორმებლად და ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებებისა და ვალდებულებების შესაძენად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1
<u>ხელშეკრულების საგანი</u>

1.1. მეიჯარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადით დროებით სარგებლობაში გადასცემს მოიჯარეს მის (მეიჯარის) სალიცენზიო ფართობში შემავალ, კარიერის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ფართს, მოიჯარის მიერ **საწარმოო დანიშნულების მოედნების მოსაწყობად**, ხოლო მოიჯარე მოვალეა დანიშნულებისამებრ გამოიყენოს საიჯარო ქონება და შეასრულოს ვალდებულებები ამ ხელშეკრულების შესაბამისად.

1.2. იჯარით გადასაცემი ქონების ფართი შეადგენს **32,4 ჰა (324.000 მ²)**.

მუხლი 2
<u>ხელშეკრულების მოქმედების ხანგრძლივობა</u>

2.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია <u>2010 წლის 1 მარტიდან და მოქმედებს 2011 წლის 1 მარტამდე</u>.

2.2. ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ მხარეთა შორის საიჯარო ურთიერთობები გაგრძელებული იქნება ამ ხელშეკრულების 1.1. პუნქტში აღნიშნულ მომსახურეობებზე მხარეებს შორის არსებული ხელშეკრულე(ბე)ბის მოქმედების ვადით, რა დროსაც შესაძლებელია მეიჯარეს და მოიჯარეს შორის შეთანხმდეს ახალი საიჯარო პირობები.

მუხლი 3
<u>საიჯარო ქირა და ანგარიშსწორების წესი</u>

3.1 მოიჯარე 1.1. პუნქტში აღნიშნული ქონებით სარგებლობისათვის მეიჯარეს ყოველთვიურად უხდის საიჯარო ქირას **7200 (შვიდი ათას ორასი) ლარის ოდენობით. საიჯარო ქირა არ მოიცავს დღგ-ს.**

3.2. მოიჯარის მიერ საიჯარო ქირის გადახდა იწარმოებს ყოველთვიურად, ყოველი საანგარიშო თვის ბოლო რიცხვში.

2.3. საიჯარო ქირის გადახდა შესაძლებელია განხორციელდეს ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის გზით.

მუხლი 4
<u>მხარეთა უფლება-მოვალეობანი</u>

4.1. მეიჯარე იღებს ვალდებულებას დროებით სარგებლობაში გადასცეს მოიჯარეს ამ ხელშეკრულების 1.1. პუნქტით განსაზღვრული ქონება და არ დაუშვას ხელშეშლა მოიჯარის მიერ ქონებით კანონიერ სარგებლობაში.

4.2. მოიჯარე ვალდებულია მიიღოს და კეთილსინდისიერად ისარგებლოს ამ ხელშეკრულების 1.1. პუნქტით გათვალისწინებული ქონებით, წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

4.3. ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მოიჯარე ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოათავისუფლოს და დაუბრუნოს მეიჯარეს საიჯარო ქონება პირვანდელ მდგომარეობაში.

მუხლი 5
<u>მხარეთა პასუხისმგებლობა</u>

ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. მათ ეკისრებათ ხელშეკრულებით ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის სრული მოცულობით ანაზღაურება.

მუხლი 6
<u>ქონებასთან მიმართებით განხორციელებული ცვლილებები.</u>

6.1. მეიჯარის წერილობითი თანხმობის გარეშე მოიჯარეს უფლება არ აქვს შეცვალოს საიჯარო ქონების მდგომარეობა. იგი ვალდებულია საიჯარო ქონებით სარგებლობის პროცესში დაიცვას ტექნიკური, სახანძრო და სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ნორმები და წესები.
6.2. მეიჯარე ვალდებულია დაიცვას საიჯარო ქონება და არ დაუშვას მისი მდგომარეობის გაუარესება და გაუვარგისება საწვავის, ქიმიური და სხვა ნივთიერებების დალვრით, გაფუნვით, აალებით, აფეთქებით ან სხვა გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებული იქნება სრულად აანაზღაუროს გარემოსთვის და მეიჯარისათვის ამით მიყენებული ზიანი.

მუხლი 7
<u>ქონებით სარგებლობა</u>

მოიჯარე გამოიყენებს ქონებას მხოლოდ ამ ხელშეკრულების 1.1. პუნქტით განსაზღვრული მიზნით, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების სრული დაცვით.

მუხლი 8
<u>დაშვების უფლება</u>

მოიჯარე ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს საიჯარო ფართში მეიჯარის პერსონალისა და წარმომადგენლების დაშვებას, ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესრულების შემოწმების მიზნით.

<u>მუხლი 9</u>
<u>ფორს-მაჟორი</u>

მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, თუ ისინი გამოწვეულია ისეთი ზოგადი ხასიათის წინასწარ გაუთვალისწინებელი და დაუძლეველი ძალის ფორსმაჟორებით, რომლის პროგნოზირება და მართვა სცდება მხარის გონივრულ კონტროლს, კერძოდ: წყალდიდობით, მიწისძვრით, გაფიცვით, საომარი მოქმედებით, სახელმწიფო ორგანოების აქტებით და სხვა ფორს-მაჟორული გარემოებებით. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომისას მხარეები ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინონ ამის შესახებ მეორე მხარეს.

<u>მუხლი10</u>
<u>იჯარის ხელშეკრულებისა და იჯარის ვალდებულებების შეწყვეტა</u>

10.1. ეს ხელშეკრულება შეიძლება ვადაზე ადრე შეწყდეს შემდეგი საფუძვლებით:

10.1.1. იმ შემთხვევაში, თუ მეიჯარე ან მოიჯარე არსებითად არღვევს ხელშეკრულებით მათზე დაკისრებულ ვალდებულებებს და ვერ უზრუნველყოფს ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას შესაბამისი წერილობითი შეტყობინებიდან 2 (ორი) კვირის განმავლობაში.

10.1.2. მოიჯარის მიერ, თუ იგი უარს ამბობს იჯარაზე და ქონებას უკან უბრუნებს მეიჯარეს, რის შესახებაც იგი წინასწარ ერთი თვით ადრე წერილობით ატყობინებს მეიჯარეს.
10.1.3. მეიჯარის მიერ, თუ იგი უარს ამბობს საიჯარო ურთიერთობებზე, რის შესახებაც იგი წინასწარ ერთი თვით ადრე წერილობით ატყობინებს მოიჯარეს.
10.1.4. ფორს-მაჟორული გარემოებ(ებ)ის ერთ თვეზე მეტ ხანს გაგრძელების შემთხვევაში.

10.2. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს ორივე მხარის შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 11
<u>დავის მოგვარება.</u>

იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა, უთანხმოება ან პრეტენზია ვერ გადაწყდება მოლაპარაკების გზით, იგი მოგვარდება საქართველოს საერთო იურისდიქციის სასამართლოების, მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 12
<u>წინამორბედი შეთანხმებები.</u>

ეს ხელშეკრულება ცვლის ამ ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებით ყველა მანამდე დადებულ წერილობით თუ სიტყვიერ შეთანხმებას მეიჯარესა და მოიჯარეს შორის და წარმოადგენს მათ შორის დადებულ სრულ შეთანხმებას.

მუხლი 13
<u>შეტყობინება.</u>

წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი შეტყობინება და კორესპონდენცია გადაეგზავნებათ მხარეებს ამ ხელშეკრულებაში მითითებულ იურიდიულ მისამართზე. მისამართის ან სხვა რეკვიზიტის ცვლილების შემთხვევაში დაუყოვნებლივ წერილობით უნდა ეცნობოს მეორე მხარეს.

მუხლი 14
<u>დასკვნითი დებულებები</u>

14.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი სახის ცვლილება ან დამატება დაიშვება მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების შეთანხმებისა და წერილობითი გაფორმების გზით.
14.2. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული გადაეცემა მეიჯარესა და მოიჯარეს.

მუხლი 15
<u>მხარეთა ხელმოწერები</u>

<u>„მეიჯარის“ სახელით:</u>
ს.ს. „მადნეული“
ბოლნისის რ-ნი, დაბა კაზრეთი
საიდენტ. კოდი: 225358341
საბანკო რეკვიზიტები
სს „საქართველოს ბანკი“
კოდი 220101502
ა/ა №3406000029

გ. დ[illegible]

<u>„მოიჯარის“ სახელით:</u>
შპს “კვარციტი”
მის. ბოლნისის რ-ნი, დ. კაზრეთი
საიდენტიფიკაციო კოდი 225359947
საბანკო რეკვიზიტები
ს.ს. „საქართველოს ბანკი“
კოდი 220101502
ა/ა: 3406000001

დ. კალანდაძე

ხელშეკრულებების განუსაზღვრელი ვადით გაგრძელების შესახებ
შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა №83
ს.ს. „RMG Copper"-სა და შ.პ.ს. „RMG Gold"-ს შორის

დ. კაზრეთი **2016 წლის 18 მარტი**

ერთის მხრივ, **ს.ს. „RMG Copper"**-ი (ს.კ. 225358341), გენერალური დირექტორის **ალექსანდრე ცაპლინის** სახით და მეორეს მხრივ, **შ.პ.ს. „RMG Gold"**-ი (ს.კ. 225359947), გენერალური დირექტორის **ალექსანდრე ცაპლინის** სახით,

იმის გათვალისწინებით, რომ ს.ს. „**RMG Copper**"-სა და შ.პ.ს. „**RMG Gold**"-ს თავიანთი საწარმოო საქმიანობის ფარგლებში ერთმანეთთან აკავშირებთ მუდმივი სახელშეკრულებო ურთიერთობა სხვადასხვა სახის მომსახურებაზე, სამუშაოების შესრულებასა და მიწოდებაზე, რომელთა შესახებ ხელშეკრულებების მოქმედება პერიოდულად გრძელდება;

მხარეები ვდებთ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

ყველა არსებული ხელშეკრულება, შესაბამისი ცვლილებებისა და დამატებების შესახებ თანდართულ შეთანხმებებთან ერთად, რომლებშიც ს.ს. „**RMG Copper**"-ი და შ.პ.ს. „**RMG Gold**"-ი ერთმანეთის მიმართ გამოდიან როგორც დამკვეთი, შემსრულებელი, გამყიდველი (მიმწოდებელი), მყიდველი, გამქირავებელი, დამქირავებელი, მოიჯარე თუ მეიჯარე და რომელთა მოქმედების ვადებიც პერიოდულად გრძელდება, კერძოდ:

მძიმე ტექნიკით მომსახურების გაწევის შესახებ #138 01.04.2013წ. და #139 01.04.2013წ.;
სამთო მასის გადაზიდვის მომსახურებაზე №172 01.08.2014წ. და #173 01.08.2014წ.;
ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოების შესახებ #206 01.10.2014წ.;
მადნის ნასყიდობის შესახებ #387 01.07.2010წ.; #357 01.09.2012წ. და #183 01.07.2013წ.;
კარიერის ტერიტორიაზე მიწის ფართობის იჯარის შესახებ #39 01.03.2010წ.;
ავტოტრანსპორტის ქირავნობის შესახებ #142 01.09.2013წ.;
სპეცტექნიკის ქირავნობის შესახებ #367 01.06.2015წ.;
საბურღი დანადგარის ქირავნობის შესახებ #369 01.09.2015წ.

ხელშეკრულებები ძალაში შესვლის დღიდან დღემდე და მომავალშიც ჩაითვალოს **განუსაზღვრელი ვადით** გაგრძელებულად;

მხარეები:

ს.ს. „**RMG Copper**"
ს.კ. 225358341
ბოლნისის მუნიც. დ. კაზრეთი
გენ. დირექტორი ა. ცაპლინი

შ.პ.ს. „**RMG Gold**"
ს.კ. 225359947
ბოლნისის მუნიც. დ. კაზრეთი
გენ. დირექტორი ა. ცაპლინი